

136
1992/2

ISSN 0132-6015

რეკონსტრუქციის

1992

№ 19-20

გაზეთი



მურომან ლეონიძე

მურომან — სხვა სიხარულით, მურომან — სხვა ნათქვამი,
საქართველოსთვის რომ ხალხობრი და ხალხობ,
გაბანილი რომ გაეხს უკვდავ ლექსთა ლექსი,
მადამ სინსლის თხოვრით რომ მღეროდ და მღერობა,
სანქარბივით რომ გაეხს სახელი და მწველობა, —
ღმერთმა გადღებოდა, ღმერთმა გაჯანსიერებულს,
გაგაბათუსაღოს, გაგაბათუსაღოს,
შეაბასმენილი მემს ვროსს, აფრიკათს, ევროპას..

მურომან — სხვა სიღალღეა, მურომან — სხვა ნაღვეა ღმრ,
როგორც მთავარის გვამდნობს საღაზგეგვით, —
ახლა — სასაქლათ, ახლა — სასაქარბივით,
მგრაბის სათარაზით, მგრაბი სათარაზივით, —
თღაზგა დიდი იქნება საქართველო,
მესამესვეტიანი იქნება საქართველო,
მთლიანი, მთლიანი იქნება საქართველო,
მთლიანზეც ორჯარ მობი იქნება საქართველო,
ფორმანსმელოტიქიანი იქნება საქართველო,
მურომან — სასაქარღო, მურომან — სასახელოვი

გაურ ატლგვაძე

**ეს უნ გაგიმარჯოს,
მურმან ლებანიძე!**

მახსოვს, მიყვარს შენი „ლეონა“,
„მე რეთი“, „ანთი“,
მომწონს, კვლავ რომ ახეთი გაქვს
წერის უნ და ხალისი..

• • •

მურმან, მურმან, მაგ უნს
ლექსა
არ ვაკადრებ ობს და ლექსა,
დრო თუ დადგა, მოგიკითხავ
წვარეთსა და ფარახეთსა..

• • •

კვაშიეთში ვართათ,
დავალთ ალთა-ბალთათ,
ქვე მშვიდობა თუ გვედირსა,
რაჭულ შაშხსაც ვკამათო!

• • •

ეს უნ გაგიმარჯოს,
მურმან ლებანიძე,
შენი განზრახულით,
შენი დასახულით,
ახალ ათწლეულში
ვაშად შეხვალ ისევ
თმებზე ზამთრითა
და გულში გაზაფხულით..

თამაზ ქვანოიძე

• • •

გადახდილი ბრძოლებით
და ნათელი პირით
შენ ხარ შენი „ბოეტის“
ლირიკული გმირი!

• • •

აღსავსე ხარ ღვთიურობით,
მზიური გაქვს განათება
მურმან, მარადიულობის
ცეცხლი გელაპარაკება!

• • •

მურმან, ავშენდი, მეშველა:
ხელზე ვიყიდე ახ თუშნად
ორტომეული შე შენი
და მიღვეს... მუდმივ სასთუმლად!

გათუ მელია

შეგობრული შარვი მწერალ
თანგიზ გოგოლაძისა



ერი უნი გიძღვნის დაფნას!

მურმან, მურმან, შენსა წუხსა,
შენი წიგნი რა რიგია!
შენი გული — ოქროს ზოლი —
საქართველოს ტარიგია!
ეს თარიღი — ერთობლივი
საქართველოს თარიღია!
რა სიმღერა გიმღერია!
ეს რა კოშკი აგიგია!


უხვწინებავ,
უხვღექსებავ,
უხვრითმებავ,
უხვტაებავ!

სამოცდაათს ვერ გიჭერებთ,
გვჩერა შენი უკვდავება!
შენ მემკვიდრე — გალასი
ხარ,
შენ გალასებრ — ხალასი
ხარ!
რუსთველის და აკაკის და
ვაჟას სატახტოში წიხარი
კომერციულ ფასად ნაყიდს
ერი უნი გიძღვნის დაფნას,
გესალმება საქართველო
და თავს გიზრის, ლო მო, შდახლად!

უნი თაყვანისმცემელი ნინავი

გველასი გველასი გველასი

ჭაბოკაბედად, ამერეთად,
სამეგრელოდ, გურაოდ,
ვისაც ჩვენი გაყოფა...
და გათავისებვა სწყურია,
ან კვიანი მტერი არის,
ან უცნობი მოუვარე,
ემიტრაც, სადაც წავწვდით,
ერთიანად მოვთხარე.
მიყვარს — მტკვარი,
მიყვარს — ქსანი,
ტბურის და ენგურის
მიყვარს — „ლაღვი“,
მიყვარს — „ლაღვი“,
მიყვარს — „ჩელა“



მეგრული...
მეგრამ გველასი მირჩენია
ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველო —
ვაჟთ მისი ერთგული
დღეგრძელ იყოს, საქართველოვ,
შენი შვი და შენი ცა,
მრავალ ახალ, მრავალ ახალ,
მრავალ ახალ წელიწადს!

1971.



პინგვინები

გამოიშლებიან
ღარბაზიდან მკაცრად ჩაცმული
სოლოდური, მინიერი პინგვინები...
წავი კოსტუმების ქათქათა პერანგების
სხდომასა და სხდომას შუა
ფორეში წრედ შეიკვრიან...
ცალ დღეზე შეკრულ პიჯაკებიდან
გამოუჩინო თეთრი მუცლები, —
მიუშვიერენ ერთმანეთს მუცლებს,
ეს კი არის, საპატოლო შინაღვლე დგანან,
დგანან ღირსებით,
შემდომიან ერთიმეორეს,
შესცვიცინებენ,
რა თქმა უნდა, ზოგ-ზოგს შერჩევით...
დასუნსულებენ უმწველი პინგვინები,
ზნირ პინგვინებს
მოწინებთ აწერებენ ხალამს...
არის ამ ხალამში
ინეთიც, რომ ათასს გახრისავსი
დღით ხიფათილით
ცნეჯიან გაცვლას აზრისას,
აღახებენ
კოლეგების სიტყვით გამოხვლას:
ერთს — იწუნებენ, აქებენ — შერჩევენ...
სიტყვა — მოწონილი
სიცალი — ღამიბითი
ხაფხვა მათს აღნაგობა

სიმშინთ, იმედით!
შეეცვივებთან
ბუტბრობოდებს ქვირილით, ძეხვით,
ყოღებენ შუშუნა „ბორჯომს“...
დაირეკება ვრძელი წარი,
განავრძობენ ბელახლა თათბირს.
კანცელარული
დგას სიტყვების კოროანტელი.
ნერვავენ ახალს,
ძველს ტვიროვან ახალი აზრით,
ახსენებენ შავიურ სიტყვებს:
„ხენაუნ“, „ფურაუნ“,
„რეზერვს“ და „მარგს“...
სოლო, როცა დღე ჩაძაღვდება,
ჩამოვლიან ბაკინუკით ვრანტის კაბეჭებს.
წაპინ გვინდებთან
სახელმწიფო ეტლებისაკენ...
1969

გვიან გავიღვიძეთ!

გვიან გავიღვიძეთ —
ბორბლებსა შევერდილა,
გადაბრუნებულნი
ლაღვი წევს ღრმში...
საკუთარ სამშობლოში
ობოლი ბავშვები ვართ,
საჭლისპატრონობას
მეჭობენ მდგმურები!

გვიან გავიღვიძეთ —
კიშკრები დაღებულნი!
(ტყემაღლე თუ არა,
ხოვ ვსხედით ვადარზე?)
რის თავისუფლებას —
სამშობლო წაგებულნი,
წინები დაყიდულნი
ლეკზე და თათარზე!
დროდადრო ლამის ტვინი
აგახხა ცამდე, —

ეს ჩემი წყალ-ქალი
რომ მოქვს, ვისთან მოქვს?!
წყადს, თავი გაუგო
პრობიტებს ამდენს,
წედ გადავუარო
ამდენ ზისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ —
ბორბლებსა შევერდილა,
გადაბრუნებულნი
ლაღვი წევს ღრმში...
საკუთარ სამშობლოში
ობოლი ბავშვები ვართ,
საჭლისპატრონობას
მეჭობენ მდგმურები!

1990

„ადამონ ნიხასს“, ყრილობას ლინის!

მე მინდა ვუთხრა „ადამონ ნიხასს“,
რომ თვისი ხალხი მცდარი გზით მიმყავს,
და შევახსენო ყრილობას ლინის
კანონი ბრძნული —
სისხლის წილ სისხლის!

ობო, შენ ვოლგის ზვირთი დავიუდებს,
აღნაზთან ერთად ანდერშს ავიგებხსი...
ჩემი ლიახვი შენ არას ვერჩის, —
დიდი მღანარე,
ობო, წავიდებხსი...

ერთხელაც ვეტყვი „ადამონ ნიხასს“,
რომ დაღუპვიყენ თვისტომი მიმყავს,
და შევახსენებ ყრილობას ლინის —
ჩვენ კანონს ურყევს,
სისხლის წილ სისხლის!

1990

„არ იყავიო
ვთვს დღეზე ამ წაფსულს ჩარვალს!“ —
ვინ, ვინ მიხედავს?! —
ხელფასს იღებს ეს კაცი მალაღს

მხოლოდ იმასი,
რომ ეხწრება თავუყურებს ჩვენსას,
გვადევნებს თვალუჯრს,
მწერლუკანა მწერლობას მწყემსავს...

მე წამოვწითლდი
და ხელახლა გავთერთა რისხვით:
„რაო, რა ბრძანეთ?! —
ჩვეკოთხე არაკაცს წიწლით, —
ჩემთვის ყოველდღე
ვთვს დღეა — ვუთხარი მკაცრად, —
და ილიახიც, სხვათაშორის!“ —
შებრუნდა, გაზრა...

ჩემ პირს არ გახსნი,
 დედამიწავ, თან არ ჩამიტან,
 ათას თახსირთან
 რომ პურს მიჭმევ ერთი წამიდან!
 1988

დაბნელებულა — მეზობლის ტვინი,
 დაბნელებულა — მეზობლის გონი...
 ხახხლს მიჭმევს გან დანთხელს ვტახა,
 შეურაცხყოფის ხიმშიმხს ვწონი...

ამას როგორმე მოუვლავს კაცი, —
 (მოგვეცემიან უთუოდ დრონი...)
 ხანგაძირით ეს არის აწა —
 ვისი იმედის ვინ იყო შქონი...

ვეძვ, სამტრო გზაზე დამყენებელი,
 მეზობლის ტვინის დამბნელებელი
 მეზობელია, აგრეთვე, შოთანი!
 1990

(იუმორისკა)

გაიძვერა ხარ და შუბლში გვოცნი
 და ხანთელივით შენთვის დავჭერხი;
 გაიქვან ვიფხვნი და შედეგებს ვტყუარცნი —
 გაიძვერა ვარ არანაკლები...

ქლივს რომ ახერხებ საბრალო ღიღინს,
 შოთად ვერა და, აკად გხახავ;
 ცოტა არ იყოს, კიდევაც გაკვირს —
 შენც კარგად იცი, ვინც ხარ და რაც ხარ!

არა გვირდება ფიცი და შტეციცი —
 გაიძვერაზე გაიძვერა ვარ;
 მაგრამ გვირდები და ისიც იცი,
 შენს სიზაღღეზე შინაც ვერ ავადი..

ვერა და ვერა! — ცრემლები შამბელის
 ვბრუნდები სახლში და ვიფურთხები;
 ჩავცქერი ბოღმით საკუთარ სახეს,
 ვაფურთხებ ხარკებს და ვიკურთხები.

1965

იყო დრო თავშეუფარების,
 იყო დრო კაცურ ღირსების,
 დრო რისხვით ამქუხარების,
 დრო ღორღების და პრინციების!
 ცა შელუვაების ძახილით,
 არყის ტყე შეკაცი ღიღილებით:
 თოვლში მიშქროდა მარხილი
 წარბშეკრულ სეკუნდანტებით.
 არა შაკერობით შორეობით,
 არა ბრკით და ტყუილით —
 რომ ყოფილიყო დრო იგი,
 ვავსწორდებოდი დუღილით...
 არავითარი — დომობის
 არავითარი — ზავის
 არავითარი — დანდობის
 თოვლი: ხახხლისგან შავი
 ჩემი ხელიდან შეკვარა ხარ,
 ჩემნათ ცოცხალი არ ხარ...
 ვინ რომ, ფეხზე მდგარი ხარ,
 თან ერთავ ფეხზე დგახარ!
 1971

მიიტხე და გატყვი!

მიიტხე და გეტყვი: რისი თამარი —
 ქართლის ცხოვრების რა ვიცი შეტი
 და ვიცი თი იყო ჩვენთვის მთავარი
 და ვიცი თი იყო... პირველი სვეტი

მიიტხე და გეტყვი, რის ვაჟი, მენდე,
 ერის მეობით და თვისი „შეთი“,
 არც თვითონ შოთა — და ვიცი თი შემდეგ
 ღლია იყო... მეორე სვეტი

განეჭილია ქარში აღვისხე,
 აწეწილია ხამშობლოს ხედი...
 ღმერთო, გვაღირსე ღმერთო, გვაღირსე
 ღმერთო, გვაღირსე მესამე სვეტი

1972

შეგონებანი



ღამაში არ არის:
 ახი წლის მოხუცი კუნტრუშით გარბოდეს
 რცი წლის ღაფსიტა ბრძნულად დადიოდეს.
 ტყეების პატრონი ნაფოტებს ხარბობდეს!
 უნიფხვოს, სუნამოს
 ხურნელი ახდიოდეს!

ღამაში არ არის:
 შეკობრე — შინისტრის ღოღაში ქდებოდეს,
 გაძარცვულ კლიენტებს ღამილით
 უკვებოდეს!
 უახაბი — დნებოდეს, დღითიღღე შხებოდეს,
 ღმერთო, დაგვიფარე და,
 პოეტო სუქდებოდეს!

ღამაში არ არის:
 დონ ურანი ხაუდრისთვის სდებოდეს
 ეპისკოპოსი ხარდელში დადიოდეს!
 ხარემ ცხეც ითქვას, ეხეთიც ზდებოდეს, —
 ხამშობლო შედით უპყარა
 ზერიცაც ათიოდეს!

1970

რუსის გენერლებს

თქვენი წარები — ბუნებულა
 ხამშობლოში ათახვანს ვმირად!
 თქვენი გვარები — წერებულა
 უმაღლესის ბრძანებებში
 ხშირად და ხშირად!

ახლა რას მგავხართ?! —
 არ უჩერის პოეტი თვალებს —
 და მსგავსებები ხართ
 დღეს ხაბორცედ
 დაბაკლავ ხარებს..

რღებზე გმარნი, დღეს რას მგავხართ,
 რას ხეუტურობთ და რაგებს მხედვით?!
 დღეს რის იქით და
 რუხვობს აქით
 ვერაფერს ზედავით!!!

1999

ვერაფერი გამოვიდა,
 ცხოვრებაში რა ხდება:
 ვველაფერი წამივიდა —
 მეგობრები მაკლდებდა...
 * * *

ბრაუნსნგით არ მომკვდარან,
 ვინც დღეს ჩემთვის შეკვარია,
 არც ფანჯრიდან ვადმოშობარან —
 მშვენიერად არიან.

უფრო ხშირად ახლა შინ ვარ,
 წვიმას ვნატრობ შნაპუნას:
 შევხვასთი ვველა თავის წვრილმან
 ხაზრუნავში ჩაფლულა!

ვველა თავის ნავში სხდებო,
 ვველამ სადღაც ვაცურა,
 ვველა კვდებო, ვფლი მწუდებო —
 წასულან და წასულან!

და დღეები გადის წანტად,
 დამეები ვროვდებო,
 ვილაც უხაშველო ჟანდად
 მწუხრში მიახლოვდებო...

მინდა, მთაზე ავირბინო,
 ზღვის მიქცევა ვიხილო,
 თავში ხელო ვაივიწინო —
 რაც მომხვდებო, ვიყვირო.

1968

მიხახავს ასე: ნამდვილი შეკვლეო
 მვირფახ კუბოსთან იდგა თვალსველი,
 არ ჰყავდა პირში ხამართლის მოქმელო
 და ზურჩულებდენ: „ვიინ ჰყავს დაწმელო!“

არა იმისთვის ვწუბ წინწინ ხიკვდილს,
 რომ მოყვასს, თვისტომს,
 ხაღბს დაატყდებო,
 არამედ მისთვის — პირველი შტერი
 რომ ჭირისუფლად თავს დაგადებო!

1977

(იუმორისკა)

ერთი კაცი ხშირად ხმარობს
 „რა მეთ უხ“ და „ეგ ვო მხ“,
 ტყვილა წერს და ტყვილა წვადობს —
 ქართულ სიტყვას ვერ გრძნობს.

კაცი, თუკი შელექსეა,
 მღარეც იყოს თუნდა,
 ენა — უპირველესია; —
 ეს ახსოვდეს უნდა!

წერს: „არ ვაშნობ რომ ერთი ვარ!“
 წერს: „რამეთუ ვლექსობ,
 მათხადაამე, კლექტი ვარ!“ და
 იქვე დასძინს: „ეგ ვო მხ!“

წერეთ, ძაშა, არ შეფერხდეთ
 ქალღმერთ და მღმინთ...
 მარკებს უნდა აწებებდეთ
 შავისთანა ენით!

1977

რერო

(სუპრობინსაირი)

ო, არა! იმას
შე არ გადარებთ, რაც უნდა ჰყუროთ,
ძალეების სროვას
შეგადაროთ, მონეულს ალყად,
მოგვხალმობით სიყვარულით,
თქვენ, ჩემო შტრეზო,
და ვთხოვ განგებას,
თქვენი თავი მიმყოფოს კარვად!

რერო!
სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო!
თქვენ რომ არ შეგულებოდეთ, რერო!

შე რომ ვნარცხდები,
ვიცო, არას თქვენთვის ცხონება!
შე რომ ვიმარჯვებ,
ვიცო, ძილში არ გვხვდნენათ!
თქვენ რომ არ იყოთ,
რა იქნება ჩემი ცხოვრება,
თქვენ რომ არ შეავლეთ —
რა შეშველებათ!

რერო!
რადა მინდა ამ ქვეყანას შე, რომ
თქვენ რომ არ შეგულებოდეთ, რერო!

შვილი ხასმური
წინ მიღვას და გავცლი აწილამ,
ჩემი თქვენდამი
უაღრესი მადლობის ნიშნად:
თქვენ რომ არ იყოთ,
რა მამღერებს ახე ხმამალა,
თქვენ რომ არ შეავდეთ,
ყნისთვის ვაყო ნეტავი უხიზლად!

რერო!
სულ არ ვიმღერ ამ ქვეყანას შე, რომ
თქვენ არ გვეუბრებოდეთ, რერო!

„მოეშვი მაგათ“ —
ოცხეს პირად მირჩია ბრძენმა.
შე — კი, ბატონო!
მაგრამ გული რომ არა ცხრება?!
და შენმის, მესმის...
ქვამის ნარდცხთ დაუქვებულ
ძალეების უფთა...

რერო!
ხმალს რას ვიქნევ ამ ქვეყანას შე, რომ
თქვენ რომ არ შეგულებოდეთ, რერო!

1960

მან არ იცოდა,
არ იცოდა, რა იყო შური
და, ამიტომაც,
მადლდებოდა დღითიდღე სულით,
განისხვნი მის წინ
შეშენიერის დიადი ბჭენი
და ვერც შენიშნა,
რომ შფარველი ქალღმერთი ჩვენი —
ოქროს ქალღმერთი
მას დღითიდღე მეტად სწყალობდა,
შეყარობდა, რაკი
ფრინველივით გული გალობდა.
და დაუგროვდა.
მას ხახალბო ქონება მყარი —
და, ნაბევარი
ხაუკუნის შიქნასთან მდგარი,
როდესაც ჩანვით
ულვიძებდა თავის ხალხს იმედს,

დამინხლომე, ახი წლის წინ ვეძახოდი,
დამინხლომე, განქდრეული და გაღვიძებლი!
1971

უფლიც ცხეტთან
სისხლისფერი ყაფარის წვეთი
არა დადვრილის —
დანადვრელის, აღმათ მაცნე...
არავითარი
ხხვა ხამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩინათ!

შე დავინახე
ხვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ცხე
ზეგნებიდან ლავეარდს გახრილი —

აპიტაფია

გერგები პაპად,
პაპის პაპად გერგები, აღმათ,
ვარ ლაშქში და
ახი წელი გაიბუნს ხწრათად;
არათუ ხორცი,
ძვალაც ჩემი როცა დამიწლებს,
კავკასიონის
შწერვალეები როცა ავერცხლდეს,
„თენდება, პაპა!“ —
ჩამომამხო, არ დაგავწყდეს!

1972



თავჩაქინდრული
ეხებოდა შირთოლვარე ხიმებს...
მას ერთხელ ჰკითხეს:
„რად წითლდებით ყრმისებრ შექვებით?
ან თავდაბრალო
ჩანვის ხიმებს რისთვის ეხებით?
აიღეთ თავი,
ხომ ნაკლები სხვაზე არა ხართ,
წინ ვადგით ბიჭი,
სამშობლოში ფანჭით ამაყად!“
და მან მიუტოვა:
„ხიტყვა ეგე არ ვახლავთ ჩვენი —
„ა მაუი“ „ბ რ ი უ ვ ნ ა“
ერაბულის გვიქვით ენით!“

1971

არავითარი
ხხვა ხამშობლო ამაზე მეტი,
არ გამაჩინათ!

შევენიერია
ორ-შღვას-შუა კავკასის ხელი
და კითხვა: „ვინ ვისი?“
მებერ გულში ლაშვრად მაჩინია...
არავითარი
ხხვა ხამშობლო ამაზე მეტი
არავითარი
ხხვა ვუა, ხხვა ხხია
არ გამაჩინათ!

1971

პოეტი

მას უნიჭობა
ლექისი შწერლის არ აკვირებდა —
უხინდისობა
იყოფებდა და აყვირებდა.
არ ვადაპყრია
შურისხაგან თვალებზე ღიბრი,
მას კეშმარიტი
ბოეტების არ ჰქონდა ჯიბრი.
ცხოვრობდა მათთან
სიყვარულით, თანხმობით, ძმობით,
და მეტიც — მათთვის
თავგანწირვის, მადლობის გრძნობით.
თავს მიჩინებდა,
გულით უხვი დიდხანს დატყავდა,
ხმების შექმნილის,
ხხვისი ნიჭის იღვა ქადაგად.



მეზინია

ეს ხოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხობი,
ცირიელა ეს პარტახი ხაიგავო,
შეშინია, ეს ხამოთხე, ეს წალკოტი
ხხვა არავენ მოვიდეს და დაიკავოს!
შქმერს ხათიხზე არ დავობენ მეზობლები,
ძალდი არ ჰყუფს, ძალდი არ ჰყუფს
ხარისხისი
ვაითუ, ვინმეს მოეწონოს ეს ხოფლები,
ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაეხამლოს!
ეს ხხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხობი,
არ ჩააქრო, არ ჩააქრო — გაფიცებდა.
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი —

...ზღვსა ქაღვ - ქაყუნა... ...მოგვიხლო... ...მოგვიხლო...

როგორც იქნა, ბინა გამოიცვალა ჩემმა ბიძაშვილმა. თავად ზღვაზე წაბრძანდა ბატონი, აქაოდა. — წელს ნამეტანი გადავიღალეო! ავეჯის გადასატანად კი დედამისი — იზო ბიცოლა და უმცროსი და — ნინო გამოაგზავნა. მე კი... მე ხომ ქათამივით ვარ, — ყველაფერს უნდა წამაკლან!

ასე შეიქმნა ჩვენი — მტვირთავ ქალთა — სამაია; მთელი ავეჯი ერთ დიდ მანქანაზე შევყარეთ, მივადექით ახალ ბინას და ნაღვლიანი თვალებით ავხედეთ მეექვსე სართულის აივანს!.. ლიფტი? როგორ გეკადრებათ, ლიფტი აქ ვერ არც დაუმონტაჟებიათ!..

პირველი დარტყმა მძლოლისაგან ვიგემეთ: — მაპატიეთ, ბიძიკოებო, კუჭის ოპერაცია მაქვს ახალი ვაკეთებული და ამ კიბეებზე ვერ აგატანინებთო! — გვითხრა მაინც, მოგვიბოდიშა მაინც ამ ღვთისნიერმა ადამიანმა. არადა, ისიც დიდი შეღავათი იყო. მანქანიდან რომ გვაწვდიდა ნივთებს და ქალებს აღარ მოგვიწია ძარაზე პორწიალი.

პირველ რეისზე არა გვიშავდა, მეორესაც გაუძეველით და მესამესაც; შემდეგ გაგვიჭირდა, თანაც ივლისის

მცხუნვარე დღე იდგა, მაგრამ ეს კიდეც არაფერი! ყველაზე მეტად ის გვაღიზიანებდა, იქვე, სადარბაზოს შესასვლელთან, ეზოში უსაქმოდ თავშეყვრილი კაცები რომ იყვნენ და აინუნშიაც არ გვაგდებდნენ ამ აქოშინებულსა და გაოფლიანებულ ქალებს. მერე რა ქალებს?! იზო ბიცოლა ძველი მოცეკვავეა და ახლაც ღმერთით ფორმაშია; ნინიკო, რომ იტყვიან, კალმით ნახატი ვოგოა და არც თქვენი მონა-მორჩილია გონჯი და შეუხედავი! რა ვიცო, სხვა დროს ქუჩაში ვერ გამივლია, ვიღაც რომ აამეკიდოს!.. ამ ხალხს კი რა დაემართათ-მეთქი?! — უფიქრობდი. მართლა დაქირავებული მტვირთავები ხომ არ ვეგონეთ?! მაგრამ თუნდაც მტვირთავი იყავი და თუნდაც შეყვინთავი, კაცმა კაი ქალის, საერთოდ ქალის ფაში ხომ უნდა იცოდეს, ცხადია, თუ კაცია?!

მეოთხე რეისზე ერთი წამოდგა და მოგვიახლოვდა. გავიფიქრე, — არიქა, გვეშველა, რაღაც მამაკაცური შერჩენით-მეთქი! სხვა თუ არაფერი, იზო ბიცოლასი მერიდებოდა, ოზურგეთიდან იყო ჩამოსული და რას იფიქრებდა თბილისელ მამაკაცებზე?!



მოგვიახლოვდა. შენ ხარ ჩემი ბატონი, და გვეითხა (პოი, საკვირველებავ! — როგორც ძველად იტყოდნენ), — ეს სკამები მაინც ტყვილა აწვია და, სანამ აიტანდეთ, ცოტას ჩამოვჯდებითო! ერთი სული მქონდა, თავში მეთხლიშა მისთვის ეს სკამიც და რაც ხელთ მომხვდებოდა, მაგრამ მაშისტოლა იყო და ვერ ვაკადრე. პოდა, ჩამოსხდნენ არხეინად და გააგრძელეს ლაყობა!.. გაგიგონია?! ვის დაკარგე ხარ?! ჩვენი ქარავენი კი მორჩილად გაუდგა ახალ რეისს. ბოღმა მახრჩობდა. — ეს რა მეზობლები გვეყოლება-მეთქი?!

რომ ჩამოვლასლასდით, ამ ჩვენს სკამზე წამოსკუბულმა ვაჟბატონმა (ალბათ, ძალიან შევეცოდეთ!) მოწყალება მოიღო და გვითხრა, — თუ დახმარება გინდათ, აგერ ერთი კაციამიეცით ფული და აგატანინებთო!

ეს უკვე ნამეტანი იყო და მკვახედ მივახალე, — ეგ კაცი არ არის-მეთქი! — ვაჰ, როგორ არ არის?! კაცია მა რა?! ფული მიეცით და აგატანინებთ, რას იკლავთ თავს?!

— ეგ არის კაცი?! გვიყურებს, რა დღეში ვართ ქალები და ვითომც არაფერი!.. ეგ არის კაცი?!

— მა...
— ან შენა ხარ კაცი, რომ მიირთხე აქ ფეხი ზონთქარით და ნაბავ თვალებს?! აბა, აიფერთხე ახლა აქედან, თორემ თავზე დაგამზობ მაგ სკამს, შე არაკაციო შენა!

იცოცხლე, გული ვიჯერე. ხმა არ ამოუღიათ; ჩვენ კი, რომ იტყვიან, სულ ფრენა-ფრენით ჩავატარეთ შემდგომი რეისები.

...საღამოს აივანზე სახელდახელო სუფრა გავშალეთ და ამ ღვთის გლაზებს ისე ვადმოყურებდით, როგორაც დაიმსახურეს.

გოგია წარბა



ნახ. შ. აბაშიძისა


— ძლივს მოვესწარი ამ ოპოციონერის ლიფტში გაქედვას და ამას გამოვიყვან აქედან?!



ქართული
საზოგადოებრივი



ქვის ხანა
ბრინჯაოს ხანა
თურქეთის ხანა
სპილენძის ხანა



ნახ. ჯ. ლომიძისი

თუ არ დაიღე სპილენძი...

ქალს აქით პირი ვერ ვუქენ, „მრცხენია!“ — შიშხა დაშარცულით და, უპარველებს, მთელ თურქეთს ნილხავ-პერანგა ჩავაცვიოთ.. ჩარჩა, ვაჭარი ვინც იყო, მერზე გზას გაყვია დახავლობს, ერთმა მიწაც კი წადო, — ცოცხლად ინახავს წკვდარხაო! დღეს ხვავს ითხოვენ — ბიზნესი გუშინდელს აღარ მისტირებს, — თუ არ წაიღე სპილენძი, მოხვალ ვალოკილ თათივიოთ.. ერთმა ზეგონულს, იქ წამსხვლელს, უთხრა: „არ ვბაკიბუქღობ, სპილენძი არ მქვავს, ვაშიგე, თუჯს თუ იყიდის თურქიო!“

ერსოი ნაცნობ სპიიტოს ქვაბთა ვარა აქვს დამდგარი, — „დრო მოვა ალუშინისო!“ — წინახწარ იჭერს თადარიგს! ხსნიან, შიგნავენ, ნამცეცოც მიაქვთ, სპილენძის რაც არის! კაცს ეგონება, დაჯვესხა თავზე სხვა ტოჩის ლაშქარიო.. დიდბანს თუ ასე გაგრძელდა, „რას სჩადით?!“ — თუ არ აფევირდით, მთელ მთა-ბარს ქართად ვაქცივთ და მერზე ხულ შუქთად გავუვიდით!

ალექსი სუციშვილი
(ქ. სპილენძი)

ნანა პანდელავი

მე რომ ოთხი ზედიზედ მიყოლებული გოგოს შემდეგ, სულ პატარა ხნის მერე, მეხუთე ბავშვის გაჩენა ვადავწყვიტე, ვადირია და გავიქედა ჩემი ქმარი:

— ქალო, ზინდა შინაბერების ინკუბატორი გავხსნათ ჩვენს სახლში?! აქედანვე თავი მისკდება, რანაირად გავათხოვო ეს ოთხი გოგო და შენ მეხუთე საზრუნავი უნდა გამიჩინო კიდევ?!

— ვინ ვითხრა, რომ ეს მეხუთეც გოგო იქნება?!

— გული მიგრძნობს, ღიას!

— ნუ გამიწყალე გული, თათუშა! დაეხსენი მაგ ფიქრს, ქვეყნის სასაცილოს ნუ გამხდის!

— აბა, გეტყვი პირდაპირ: კლეოპატრამ მიმკითხავა ყავაზე და იმან მითხრა! არც ახლა დამეხსენები?!

— ვინ კლეოპატრამ?!

— რა თქმა უნდა, ეგვიპტის დედოფალი არა მყავს მხედველობაში, რომელიც მე და შენ კი არადა, მთლად იქითა ჩვენს წინაპრებსაც არ უნახავთ!

— თათუშა, მორჩი ქარაგმებით ლაპარაკს! ვამაგებინე, ვინ კლეოპატრამ ვითხრა, რომ შენ... — სიბრაზისგან წამოჰარხლდა მანუჩარი.

— აგერ, მეზობელ სახლში რომ ცხოვრობს, სამტრედიიდან რომ ჩამოვიდა, კაი მოხდენილი ტანი რომ აქვს და ლამაზი ცხვირი.

— კაკალაზე ამბობ? — ვადახარხარა მანუჩარი, — წოპემ რომ ჩამოუქნა ცხვირი?!

— კაკალა იყო! ახლა კლეოპატრაა და, თუ ბიჭი ხარ, მოახერხე მასთან სამკითხაოდ მისვლა, წინასწარ თუ არ ჩაეწერები რიგში!

— მდა!.. — ჩაახველა მანუჩარმა და ნიშნის მოგებით მითხრა: — კი, ბატონო, იყო კაკალა, გახდა კლეოპატრა, ჩამოვიდა სამტრედიიდან, ახლა თბილისელია! ჰოდა, რაო, კლეოპატრამ, ბიჭი გაგიჩნდებაო?

— კი, მანუჩარ, ზუსტად ასე გამოჩნდა ყავის ნალექზეო, კი, ჩვენი ოთხი გოგოს ბედნიერებას გეფიცები!

— იცოდე, თათუშა, კლეოპატრას

ვარაუდი რომ არ გამართლდეს, წავალ სახლიდან, ცხრა მთას იქით გადავიქარგები!..

— ნუ მაშინებ, თუ გიყვარდე! წახვალ და წადი! შეხედეთ ერთი ამას, რითი მემუქრება?! თუ არ შეგრცხვება, მარტო ვაგზრდი ხუთივე შვილს, ოღონდაც მერე აქეთ გამოხედვაც არ გაბედო, გესმის?!

... რალა ბევრი ვავაგრძელო, მეხუთე შვილი... ბიჭი შეგვეძინა, იმას ენაცვალოს დედა! გოგოები ისე ამომიდგნენ მხარში, არც გამიგია, სკოლაში წასვლის დღე როგორ დადგა. მერე ერთმანეთის წამხედურობით ოთხივე ოგო მშვენიერად გავათხოვეთ, ამასობაში ბუჭუტამ, ონეე ყარამანმა, სკოლა დაამთავრა და უმაღლესშიც სულ თავისი ცოდნით მიიღეს. სახელობითი სტიპენდიით გადადის კურსიდან კურსზე, სანაქებო სტუდენტია და სანაქებო შვილი, მაგრამ მეხუთე კურსზე რომ გადავიდა, დარდმა და ფიქრმა შეგვაწუხა მე და მანუჩარი, რადგან ცოლის მოყვანაზე არაფერს ამბობს.

— მამა ხარ, კაცი ხარ და ჰკითხე მიზეზი, მანუჩარი! როგორ, ასე როდემდე იქნება?! ისე კი ვატყობ, რომ ბიჭები, ბოლო დროს მაინც, ნაკლებად ფიქრობენ დაოჯახებაზე, მაგრამ სხვასთან შე რა მესაქმება, შე ჩემი ჯავრი მაქვს და პასუხი უნდა ვიცოდე!

დასვა ერთ საღამოს, ტელევიზორი რომ გამოვრთეთ ღამის უკანასკნელი ამბების გადაცემის მერე, და პირდაპირ ჰკითხა:

— რა ვიშლის ხელს, რომ დაოჯახდე, ბუჭუტა? თუ რამე შეამჩნიე შენს თავს ურიგო, ბოდიში მომითხოვია, მივმართოთ მკურნალს! აბა, ასე ხომ არ იქნები?!

ბუჭუტა ღამის გადაბეირდა სიცილით.

— ეპ, მამაჩემო, იტყვი რაღაცას!.. დედაჩემის მოყვანა კაბიკები რომ დაგიჯდა, თუ ბეჭდის ყიდვა, თუ საკაბე, თუ საქორწილო მაგიდა, მასე არ არის ახლა, ჩემო ძვირფასებო!.. კინოში რომ დაპატრონო გოგო, სულ ნაკლები, ჯიბეში ასი მანეთი უნდა გედოს და ფილარმონიასა და თეატრში თუ დააპირებ წასვლას, ხომ მთლად ჩემი ერთი თვის სტიპენდიაც

არ მეყოფა, ისიც დროზე თუ მომცეს!

— ჩემი სიკვდილი ახლავე! თუ წაიქნის ორივე ლოყა ჩამოვყავარა! მოგცემ, შვილო, ჩემს პენსიას, ოღონდაც!.. აბა, ისე ხომ არ უნდა დავებრდეთ, ბიჭო, შენს გაბედნიერებას რომ არ მოვესწროთ?!

— შენი პენსიის იმედით, რომელსაც, ჩემი სტიპენდიისა არ იყო, კარგა დაგვიანებით ღებულობ, მე დაოჯახებაზე ვერ ვიფიქრებ, ვერა!

— აბა, არ ყოფილა საშველი! — მანუჩარმა ძლივს ამოღერდა.

— საშველი როგორ არ არის, ოღონდაც ჯერ მოთმინება საჭიროა და იმ საშველის სასიკეთოდ შრომა, კარგი საქმის კეთება ქვეყნის ფეხზე დასადგომად!

— მაინც, მაინც როდის იქნება ეს ბუჭუტა?! ცოლის შერთვასაც თავისი დრო აქვს!..

— ქალო, ცრემლებს ღვარღვალს, გადასულიყავი იმ კლეოპატრასთან და გეკითხა მისთვის!

— შენ თუ გგონია, ბუჭუტას გაჩენაზე მართლა კაბიკების საფასურად რომ მკითხაობდა ყავაზე კლეოპატრა, ახლაც იმ ფასად მკითხაობს!..

— ისიც შეძვირე გახდა?


— ბეჩა, რავა, ის მთვარიდან ჩამოსული კი არ არის!.. იცი, რა ღირს ყავა?! აღარ კითხულობ?! ჰოდა, ჯამში დიდი თანხა მრგვალდება, აბა!

— შე წავალ კლეოპატრასთან, მაინტერესებს, რას მეტყვის და თანაც რას გამომართმევს კარის მეზობელს! — წამოდგა მანუჩარი, უღვაშებზე ხელი გადაისვა და კარისკენ გაემართა.

— მართლაც საინტერესოა, მამაჩემო! წადი, მით უფრო, რომ ეს შენი მასთან პირველი სტუმრობა იქნება! — დაადევნა ბუჭუტამ და რაცხა გლახად ჩაეცინა.

— არა, მაინც რა არის იმაში სასაცილო, რომ მამაშენი კლეოპატრასთან საკირბოროტო საკითხის მოსაგვარებლად წავიდა, პა?!

— საკითხავი მართლაც ეს არის! რა არის იმაში საჭირჭილო, რომ მამაჩემმა ითავა, ქვეყნის სასიკეთოდ ყავაზე მარჩიელთან მიკითხვა?! — ისევე ღიმილი მომაშუქა ბუჭუტამ და სიყვარულით გადამკიცნა.



კვირ დღე

— ცოცხალი ხართ?
— ზგონი, ზოლ..
— მაშინ შითხარით, ეს საბურავები ხად
იშოვეთ?!



— შეტი აღარ შემიძლია აქ ყოფნა.. კო-
მერციულში უნდა გადავიდე!..



— ყველაფერს გადავიყვებ: მანქანის ტა-
რებას, ღვინის სმას, თამბაქოს წვევას, ქაღებ-
ში, კინოში, თეატრში სიარულს და ერთ რა-
მეხაც თუ გადავიყვებ, ჩემს ბედს ძალიან არ
დასყვეს!
— რას უნდა გადავიყვით ამისთვის?
— ჭამას..

ქვეყნიუხს ქაიქ

ქვეყნიუხს ქაიქ
გენერალის
გენერალის

გოგის მოლაპატი

საქართველოში მოდად გადიქცა, —
სხვა ერის კაცი გვარს რომ იკეთებს!
რატომ არ გვრძალავთ გვარის
გამოცვლას,
თუ მას არ მოაქვს ჩვენთვის სიკეთე,
თუ საქართველოს კარგად არ
იცნობს,
თუკი არ იცის, ვისია შვილი?!
გინახავთ კაცი, ქართულს ვერ
ფლობდეს
და გვარად იყოს ბარათაშვილი?!
ენით, საუბრით ვერც ვარჩევ,
ვის ჰგავს,
თუმც ჩვენთან ცხოვრობს კარგა
ხანია.


არ უყვარს ჩვენი ქართველი ხალხი,
გვარად კი გახლავთ არახამია!
არის აზიზა გარსოიანი,
ვითომც ქართველი კაცი, მაგარი,
შვილებს დაარქვა: ვახტანგი, რეზო,
ნესტანი, გოჩა, ხეჩა, თამარი!
გულში გამიჩნდა დარდი და შიში, —
ნერგი სხვის ფესვზე როგორ
იხარებს?!
ვისაც არ უყვარს თავისი ჯიში,
ასეთი კაცი ჩვენ შეგვიყვარებს?!

ხათრით გავგედავი..

ფულის შეძენის სურვილი
თურმე ყოფილა აზარტი,
სიამოვნების მომგვრელი
ჯიბის ხვაგი და ნამატი.
ძმაკაცთან ქრთამის საკითხზე
წამომცდა ერთხელ ავბედად.
მითხრა: „შენ მხოლოდ იკისრე
და შენი ხათრით გავგედავი!“
აღრე ეს ჭორი მეგონა,
თურმე ნამდვილი ყოფილა,
თუ ამ თამაშმა ციხეში
თავი არ შემაყოფინა!..

ომში იგი არ ყოფილა,
შრომითაც არ წუხდება,
გარდაქმნებით მასაც ერგო
ვეტერანის უფლება!
საქმე გააიმასქნა და
ჩაიჯიბა ფულები,
ყველგან დადის, ყველგან შედის
ინვალიდის უფლებით!
რალად უნდათ მიტინგები,
ანლა თავისუფლება,
როცა ასეთ ნაძირალებს
აქვთ ყველაფრის უფლება?

ორი წელია, ფანტაზიების
ლაბირინთებში გარდაქმნებს ხატავს,
მე რომ კუჭის წვეს ვიცოხნი, მაშინ
იგი მიირთმევს კალმასს და სათალს!..
გაწყობილ სუფრას რომ მიუჯდება
და მალაც თუკი კარგი აქვს, მაშინ
სტუმარი წასვლას თუ არ აპირებს,
ის ძალად უნდა გააგლო კარში!



ქვეყნიუხს ქაიქ

ფრანკები

— ძაღლი როცა დაგიყვებს, ქართულად უნდა და-
უყვავო!

— განა, ყველა ძაღლს ესმის ქართული?!

— დედაკაცი, დღეს ხომ შაბათობაა?

— მერე?

— დღეს მაინც გამიწმინდე პიჯაკი და ფეხსაცმელები!

— მომაწვევინე შენი თუთუნო!

— მიირთვი, მაგრამ მაგარია და წაგაქცევს!..

— დავწვები და ისე მოვწევ!

● უნამუსოს პირში აფურთხებდნენ, ის კი გა-
იძახოდა, უუუუნა წვიმა მოდისო!

● თუ გული გულობს, ღვინო ბოთლის ყელიდა-
ნაც დაიღვეო! — თქვა ლოთმა.

● რძალმა მუღს ტუფლი ათხოვა და დაარი-
გა — ტაქსით იარე, არ დაიღლებიო!

● ზარმაცნი მუღამ მიტინგებზე ფიქრობს.


● მართი ბოთლი — გაცნობის, მეორე — ძმო-
ბის, მესამე — მუშტი-კრივის.

● ყველა გზა თურქეთში მიდის.

● რძალს უთქვამს, — დედამთილის დარჩება
ჩემთვის გამგლო ქარიო.



— როგორ შეგერიპოთ?
— იაჟად!




— გეტირათ ყოფა, ველარ იშოვეთ სამშენებლო მახალა თავშესაფრისათვის?!

დიპიტრი ზარაზიშვილი



— რას აშენებენ აქ?
— კვლევით ინსტიტუტსი
— რა უნდა გამოიკვლიონ?!
— უნდა გამოიკვლიონ, რას იკვლევენ აშენ კვლევით ინსტიტუტში..



— რა გინდა, თურქეთში რომ მიღიხარ? დარჩი შინს..
— დავრჩე, რა, ვაღამწვარი კი არა ვარ?!

როცა ასეთი სიყვარულია!..

მამულო საყვარელო,
საყვარელო მამულო,
მე ვარ მომხმარებელი —
უნდა შეგახრამუნო!

თვალშია რომ ჩაგივარდე,
ხელი არ ამოიხვა —
იხე უნდა ვიყვარდე, —
შენი მადლი მოვიხხა!

მოვიხხა და ვიარო
მხნედ ამ შესამოსელით —
ბრიყვი არის ჭკვიანი,
ჭკვიანია ხულეული!

ფეხშიშველამ ბალახზე
მე რად უნდა ვიარო?! —
ყველა გადასალახზე
შენ უნდა გალიარო!

მე ვარ შენი სახელი,
შენ ხარ ღმერთის სახება! —
ცოდებაში თუ მამხილე,
თვითონ დაგძრახება!



მე არ გამხელ არასდროს
და არ გავიმხილები —

ჩემი ბელით გაგაძრობ
ტყავს, დაგპორტყენი ფრჩხილებით!

ო, მიყვარხარ, გაკოცებ —
სიყვარულის მადანო! —
შვება შენ უნდა მომცე,
ხელისგულზე შატარო!

მამულო საყვარელო,
საყვარელო მამულო,
მე ვარ მომხმარებელი —
უნდა შეგახრამუნო!

თავის უფლების თანმხლები ანუ გვერდითი მოვლენების გამო

პორნო მთვარე
ჭვარს დაიწერს მზეზე —
რა თქმა უნდა,
პორნოზე და მწველზე! —
გული მწყდება
მე ჩემს მეგობრებზე —
ლურჯი ხუფრა
გადავდევით გვერდზე!..
ვერ გავტებებს,
მაგრამ ისე გვუფუხს,
უკანალი
გავდეთ შარაგზეზე!..

„ხალხის მტრების“ გამო

ხულ ერთია, რომელი ხარ, —
ყაჩაღი თუ წმინდა ბერი, —
მთავარია, მტერი ნახო
და თვითონვე გახდე მტერი! —



მოგიწონებს ამ სიგლახეს
ერთი რომელიმე ერი,
მოიპოვებ გმირის სახელს
და შენ იცი მერე — ბერი!

სიმატლისთვის ვიბრძვით ყველა
და ვავრცელებთ ყველა ჯორებს —
სიმატლისთვის არც ჩვენ გვცხებია,
არც — ზოგიერთ რედაქტორებს!

ვაი, ჩემო საიდუმლო
ოცნებაო, შე საწყალო!
ვაი, მუხავ, ვაი, მუმლო —
ცხოვრებავ, რაშიგან ხარო?!
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ქართული
წიგლისათვის

გშრებ უტრახიძე



— ეს მშენებლობა დაკონსერვებულია..
— თავანდელი დაკონსერვება არ გამოგონია მეი..



— კიო, რაღ ვინდა ეს ურჩხული ხანშია?
— აბა, მარტო ატომბატის აზარა დატყვედ მომხედურსი!



— შენა ღორები გადმოდიან ჩემს ყანაში, ვერიჩკა!..

— მერე, ჩემს ღორები ხომინდს რომ არ გაშენ, ვანიჩკა?!

— არა, ქალბატონო ვერიჩკა, ვინ კადრა თქვენს პატივცემულ ღორებს გადაქაშიაობა?! ქაშენ კი არა, თხოვნიან ხომინდს, მარა მაინც არ შინდა ჩემს ყანაში სხვისი ღორები! შე დამაცადონ, ხატონო, ჩემი ყანის გათხანა!

— მე ღორებს ვერ დავაშუყვდე და მიჩივლე, ხადაც ვინდა!

შენ — ვანიჩკა, შე — ვერიჩკა! შენ — ვანიჩკა, შე — ვერიჩკა!

ეს მეზობლურ-ანეკდოტური ამბავი უამბო კუბეში თანამგზავრებს და გულიანად აცინა. დედაქალაქიდან ბრუნდებოდა იმ დღეს. „თავის“ რედაქციაში რომ შეიარა, რედაქტორმა მარტო დაიტოვა.

— თქვენი პირველის გამოგზავნილი კაცი იყო ჩემთან. გვარი აგერ მიწერია! — რედაქტორმა ქალღღმობა გადაქექა მაგიდაზე, — ძალიან ცუდად დაგახასიათა! გემუქრებიან, ძალიან ვალიზიანებულან კრიტიკით! ფრთხილად იყავი, შეიძლება, ბინძური რამეც იკადრონ! ხო, გვარი აგერ მიწერია!..

— არ ვინდათ, პატივცემულო, ნუ მეტყვით თავის ვინაობას!

— რატომ?! — თვალები შუბლზე აუხტა რედაქტორს.

— სუსტია ადამიანი, მერე სამაგიეროზე უნდა იფიქროს. არ მაწყობს ასეთი რამე!

— ბიჭოს, ეს ვინ ყოფილა?! ყოჩაღ!.. ჩემი იმედს ვჭონდეს, მაგრამ სიდრთხილე აუცილებელია!

მადლობა გადაუხადა და გამოვიდა. ახალგაზრდა იყო და თითქოს არაფრად ჩაუგდია, სხვა დროსაც გაუფრთხილებით სხვებს.

რედაქციიდან რაინგზის სადგურზე წავიდა (ავტობუსები მაშინ არც დადიოდნენ მის ქალაქში) და ილაპარაკე გააყვა მატარებელს. მარტო იყო. ხანდახან საერთო ვაგონის ფულიც არ ჰქონდა, მაგრამ იმ დამით საწოლის ბილეთი აღო. ფელეტონის ჰონორარი ჰქონდა აღებული და გაუმასპინძლდა თავის თავს.

კუბეში ორი ახალგაზრდა ქალი დახვდა. ერთს კარგად იცნობდა, — ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა. მეორე, ქმართან გაყრილიც იყო.

მისალმებისა და მოწყობის შემდეგ ჩამოსხდნენ და საუბარი ჰკადეს. ნაცნობი აპყვა და, როგორც მოგახსენეთ, გულიანად იკისკისა. მერე აბანოდან გამოსული კაცის ანეკდოტიც მიაყოლა, — რა კარგი ყოფილა აბანო, ყოველ წელს უნდა ვაბანო!

ნაცნობის თანხმლები ახალგაზრდა ქალი (არ გაუცენიათ) აღვა და გარეთ გავიდა. მი-

ლევე დაბრუნდა, თითქოს გახარებულიც, — მეზობელ კუბეში აღვილები გავცვალე, იქ ყველა გოგონები ვართო! ნაცნობიც მიხედავთ, — უი, რა კარგიაო! მაგრამ მერე მისთვის იქ აღვიღო ალარ აღმოჩნდა და დარჩა.

გაცვლა-გამოცვლის ცერემონიაში თვითონ დერეფანში იდგა. ერთ კუბეში ნაცნობი კაციც (თანაქალაქელი) დაინახა. ის კაცი აქეთობასაც დაემგზავრა. რა უნდა ყოფილიყო ამასი ცუდი, მაგრამ საღმისათვის რომ გაემზადა, იმ კაცმა თითქოს თვალი მრარდა და საწოლის გაშლა დაიწყო. ოდნავ კი ვაკრა გულში რაღაცამ, მაგრამ სალამს ხომ არ ესროდა?! კუბეში შებრუნდა!..

ცოტა ხნის შემდეგ ის კაცი ვაგონის გამყოლთან დაინახა. გამყოლსა და მილიციელს ერთმანეთს ვაგონი დაიხსენებდა. თითქოს მისი სახელიც ახსენეს. ახლა კი მართლა შეგებარა ეჭვი. კუბით იყავიო! — გააფრთხილა საკუთარი თავი.

კუბეში სხვა აღარავინ შემომატებიათ. საუბარი ისევ სცადეს და ისევ გამოუვიდათ. ლექსებს რომ უკითხავდა, მის თვალეში მოწყონებაც ამოიკითხა. ერთი სიტყვივთ, პარტნიორობდა და აქეზებდა.

ახალ სპექტაკლში არხთა განმრიგე როლებს ურიგებს ხაძმთა წევრებს და ქართველები მთავარ როლისთვის (ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ო ბ ი ხ თ ვ ი ს) ერთმანეთს აგლეჯენ წვერებს!

ქალმა გაუღიმა და მანიკურის ფაფუკი თითი დაუქნია.

— შეიძლება, თვითონ დაგაგლიჯონ თავის გულისხმების! ამას უყურე?! — და გადაიქისკისა.

სიმართლით ვერ გავაცანთ თავი, ნაცნობ-უცნობს! ღმერთო, შაღე მოშაკაიო, მერე მაინც მიცნონ! იქ კი ვის რას შეგახსენ, იქ ვინ უნდა შეძლოს?! არა, დიდხანს შეცოცხლე, იქნებ მაინც მიცნონ!

— რა დროს სიკვდილია, ბიჭო, ცოლიც არ შეგირთავს! ა, ხომ არ მეშლება?

— ვის ვახსოვარ, ვის ვუნდებარ, ვის ვუყვარვარ მე?!

— ახალგაზრდა უცოლო კაცს და ქმარ-გაყრილ ქალს ხომ შეიძლება თავთავისი ანგარიში ჰქონდეს ამ დროს? როცა ამას კაციც ავლენს და ქალიც, აღსრულებას წინ რაღა დაუდგება?

გვიან დაწვენი. აღბათ, ყველაზე ბოლოს ვაგონში. დაწოლილებამაც განაგრძეს საუბარ-

რი. ქალი აშკარად იწვევდა. ხორცმა ხორცის ყვირილი გაიგო, აწულს ხასიათს აპყვა და თვითონაც აიწია, მაგრამ პიკანტურ სცენამდე საქმე არ მისულა... ერთბაშად რაღაცამ გააპრა თავში. ტვინის გულგამ უკანონოდ გაანათა მთელი სურათი და შექმნიდა... ქალის... მისი გულღიანობის, ნაღდი მიწვევისი შიხვდა, ყველაფერი რომ ჩაწყობილი იყო! ისიც, მარტონი რომ დარჩნენ კუბეში, არავინ რომ არ შემომატებიათ! რედაქტორის გაფრთხილება გაახსენდა, გვერდი იბრუნა და ძლივს ჩაიბლუქუნა, — ძილი ნებისაო! ქალს გაუკვირდა და კიდევ უფრო დაშეკრა სიტყვებზე, რამაც მისი შიში გაზარდა მხოლოდ. უფრო მოიკუნტა, კინაღამ ბალიშქვეშ შეძვრა და თავზე საბანი წაიფარა. ქალი კიდევ შეგებმურა, მერე ისიც მიჩუმდა და მიუყურდა.

„მიტყუებაა... ერთი რომ იკვიროს?!“

გველცემულივით წამოვარდა. ნაჩქარევად გადაიქცა და დერეფანში გავიდა. შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით!.. თითქოს არაფერი, სიწყინარე იყო ვაგონში.

„ჩასაფრებული არიან, მომენტს უტედიან...“

კარგა ხნის შემდეგ კუბეში შეიბარა (კარი ღია დატოვა) და ნორმალურად ჩაიქცა. ქალს ეძინა.

„თუ ესეც შეთანხმებული ჰყავთ, ხომ მღვიძარი უნდა იყოს?! იქნებ თავს იმძინარებს და როცა მათი შემოსვლის (თუ შემოვარდნის) დრო მოვა, მაშინ იკვირებს და შემიბიხვებს!“

ირგვლივ კი სიჩუმე იყო. ისიც თითქოს დაწყინარდა. ოდნავ მიხურა კარი. წყველი ხორცი, აბობოქრებულ-აქანებული ხორცი, მაინც თავისას ითხოვდა და სულაც არ ჩიოდა, რა მოჰყვებოდა ამას!.. მაინც ვინებამ დაიმორჩილა გულიც და სხეულიც. გულიც და ხორციც მწოლიარესაკენ იწვევდა. გრძობდა, ელოდებოდნენ (ახლა, შეიძლება, იწყებდებოდნენ კიდევ), მაგრამ მან ხომ საკუთარი თვალით ნახა აღევნებული მოყურად, მახეს რომ უგებდა (დავლებით) გამყოლ მილიციელთან ერთად. ქალს რომ ახლა ერთი წამოიკვილა, თუნდაც სიზმარში, სამეული მაშინვე აქ ვაჩინდებოდა და... აქტო შეიძლება წინდაწინვე იყო შედგენილი, ხელს მოაწერინებდნენ ორივე ნახევარდამინარე „მოწყმესაც“ და კარგად იყავი მერე, ბიჭოია!..

მაშინვე წამოვარდა, გარეთ გავიდა (კარი მოხურა) და მეზობელ ვაგონში გადავიდა. იქ გაათია მთელი რამე (სანახევროდ — ტუალეტში).

„რა მახეს დაუქვევრი, ბიჭო?! დაქვევრის რომ კიდევ გადავჩინილიყავი (ქალს რომ ენამუსა), მოხსნა ხომ ნაღდი იყო (ამისათვის დამდეგენ), ხალხის თვალში მორალური გაბითურება ხომ ზედვე იყო?!“

ახლა უკვე ვეღარ იტიტნა წლობით უმუშევრობას (პროფესიის ვინ ჩივა, სხვაგანაც არ მიაღებინებდნენ), ვეღარ გაუძლებდა მამის სიტყვებს, წლობით უმუშევარ ჩაჩანას რომ უყურა, უყურა და სინანულით გადააქნია თავი, — კაშერი შეაგდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო რაო!

... მცირე ხნით თავს რომ მისდებდა ხოლ-

შე (ხან ფეხზეც მდგარი), სიზმარში მაშინვე კუბეში გაჩნდებოდა და იმ ქალს ბუბნიდა. ერთ წათვლელზე რაიკომის მდივანიც (ქალი) აღმოაჩნდა მკლავებში.. მაშინვე გამოღვიძებულს ორმაგად შეეშინდა, — ვაითუ, აქ ეს სიზმარიც გამოვიგონო!..

რაიკომის ძალიან, მისმა მოხერხებამ და ავტორიტეტმა ჩავმანულ კუბეშიც შეაღწია და მისი ბინადარი გამოვადლო, ველურად მოჰქვივინე ხორციც ჩააჩუმა თითქოს!..

გათენებამდე კურდღლევივით ეძინა. ინათლა თუ არა (მგზავრებმა რომ მისვლა-მისვლა დაიწყეს), მაშინვე თავის ვაგონში გავიდა. ხელ-პირი დაიბანა და კუბეს ფანჯარასთან დადგა. გაბრუნებულს იმის თავიც აღარ ჰქონდა, საღამზე ებასუნხა. მისი დამზღველობა, აქეთ-იქით სირბილი, ეტყობა,

თავისებურად გაიგეს და ერთმა-ორმა ცბერად შეჰქლიმა. შინაც, რატომღაც, ასევე უპასუხა.

ბოლო საღვთობე (თავის ქალაქში) ქალი უხმოდ ჩავიდა. ბაქანზე მოშორებით შეხვდნენ და მანქანაში ჩაისყეს. ვინ იყვნენ, ვერ ვაარჩია, მაგრამ დარწმუნებული იყუ, ოპერაციის ჩაშლის მიზეზს ჩამოაკვლინებდნენ (ყურის აწვევით!).

ისიც კი ვეღარ ვაარჩია, ვინ უფრო ვცოდებოდა, საკუთარი თავი, თუ ის ქალი. შიში და სირცხვილი ერთად არეულიყო მის არსებაში!..

• • •

მხოლოდ წლები შემდეგ გაიგო იმ ახალგაზრდამ, მისი „მიხვედრა“ ელემენტარული შიში რომ ყოფილა მხოლოდ (ტერინა ჩაბუდებული შიში). გაიგო და ბევრი იცინა... საკუთარ თავზე, მაგრამ ვანვილოვ ვხას რომ გადახედა, უკმაყოფილო მამაც ან დასაჩენილა საერთოდ საკუთარ მხედრებში ბისა, რადგან, სხვა შემთხვევებში, ამან აშკარად გადაარჩინა. ესეც მაშინ გაიგო, როცა მის სისხლს სხვისი დაწვა კი არა, საკუთარი ძარღვების ვათბობადა შეეძლო!..

მერე რაიკომის ძალიც და ავტორიტეტიც საპნის ბუშტივით ვასკდა. ბევრს, ძალიან ბევრს, უკვირდა კიდევ, — რა გვეგონა და რა ყოფილა! მაგრამ არა, ზერულე შთაბეჭდილებამ არ უნდა შეგვაცდინოს! ამის დასტურია ეს ეპიზოდი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებიდან (მხიარული ტანჯვიდან), რასაც შეიძლება ასეც ეწოდოს: ვაი ჰკუთხაგან.

მერი გადრიაჰვილი


* * *

თუ ამ ხივეარულს ხაბულევილი ჰქვია სახელად, ხაზარულის ცრემლის ხინანულის ჰქვია ანხანი, თუ ხივეთის და ხათროების ვეპირს ვამხელა, — უმანკოებას შევურაცხყოფთ მამა-პაპანის! თუ აშენებულს დანგრეულს ხანაცვლოდ ვარჩევ, მამ, ვონჯის ნაცვლად ხილამაზის ვიყით მნახველი, თუ უგნურ ბნელეთს აღიონის ხნივად მივიჩნევთ, არ ვავიკვირდებ, ბრავებს რომ ხცნობდნენ ბრძენის სახელით! თუკი ვონებას მონათლავენ ნეტარ ხიცოლად, აქ ხისასტყეს დაადებენ კაცობის ბეჭედს! ზღვნიერებამ ხად ეჭვები ვერ მოიცილა, აქ აღმაფრენას უბედური თვალებით ჰვრებენ!.. თავი იმტვრიე, ვონებავ მიწის, რაგში ჩააწყვე ტუჯიები მიწყავ, და თავს მოაკლავ რამდენჯერ, იცი?!

* * *

ვველაფერი მიწიერი: ხანე, ხელ-ფეხი, გრძნობები, ემოციები, აზრიც კი.. ვროველდლიური წვრილმანი საქმე, არაფერი მათში დიდი, უცხო და ხაკვირველი.. პირდია ვრჩები: ჰორაობენ შეზობლებს ხავეარლებზე, შეგობრების ვარდერობზე, ნათხავების მანქანებზე.. ჰორავენ დისშვილებს, ძმისშვილებს, შულისშვილებს, შეზობლებს, ახლობლებს, შორებლებს!.. ჰორაობენ ეზოს წინ გამოქიმულ ხკამებზე, ხამხახურებში, ხკვერებში.. დარდობენ შვილების და შვილიშვილების მოწყობაზე, ჰურტების შეძენაზე, წიგნების მოგროვებაზე, ხაიდანაც ერთი ფრაზაც კი არ ამოუკითხავთ!.. ვულისფანქალით ელიან კონტინენტით უცხოური ავეჯის ჩამოსვლას!.. ზრუნავენ აგარაკების მოწყობაზე, ხამხახურის შოვნაზე, დაწინაურებაზე!.. ზრუნავენ დაუსრულებლივ, ფუხფუხებენ მიწიერად!.. არაფერი — ამაღლებულაი.. თვით გრძნობაც, თუკი არებობს მათთვის, — პატვიმოყვარეობას ამოფარებულაი!.. და მიკვირს, ძალიან მიკვირს, ნეტავ, რით ცოცხლობს ეს ხალხა?!

17006



ნახ. ი. გვილაგასი

— დმერთო, მიშველე, ვინჩრობი!..
— ვაინძერი და ვიშველი!
— ვერ ვინძრევი, ფახე-ბისაგან ხელ-ფეხი შაქვს შეკარული!..

* * *

მწერალთა კავშირში ერთ ქალზე ბროლის მსხლება გამოკიდებული.

ო, მსხლებო, მსხლებო, თქვენ ამ ჰალზე ვინ ვამოკვიდით, ვინ დაუკარგეთ ხიტკოცება ცხელი ხავიდან, რისთვის ხართვით ცივი მწერა უგარანბ ყინულებს?!

ვგ უღანათო ვარეგნობა თვალს არ იტყუებს!
ო, დაუბრუნდით ბუდე-ტოტებს, ამპარტანებო! ზევრია კიდევ, თქვენსავით რომ იხევ თავნებობს! აღვირახნილი ვამო დდებს თუ ლაღად ხატონობს, არ ვავიკვირდეთ, ხვალ თუ დარჩით ხულ უპატრონო!..

1987 წ.

საქართველოს
ეროვნული

თქნათ თქვენი მუხარამი

კუხუჩინის ზღაპრის თანამედროვე ვარიანტი

სოფელ გრიგოლეთში ცხოვრობს ვინმე ვასილ ქორჭილაძე, რომელიც ცნობილია, როგორც საუკეთესო მეთევზე. მას მთელი ცხოვრება (უკვე 68 წლისა) პალიასტომის ტბაზე ბადის გაშლასა და ამ ბადიდან ხვანცალა თევზების ამოხსნაში გაუტარებია.

მებაღურის შრომა მძიმე, დამძინებელი და ხიფათიანია, მაგრამ ამასთან სიხარულიც ცოტა როდი ახლავს! ბატონ ვასილ ქორჭილაძესაც უხარია, რომ ერთხელ მის ბადესაც მოჰყვა სანატრელი ოქროს თევზი და, როგორც პუშკინის ზღაპარშია, დღემდე ერთგულად მგვობრობს მასთან. ცნობილია მეთევზე, ვასილ ქორჭილაძემ, მაშინ სიცოცხლე შეუნარჩუნა ოქროს თევზს, ხოლო თავის მხრივ თევზმაც, გადარჩენის საფასურად, მუდმივი და უშურველი სამსახური იკისრა. პირობა დღემდე არ დაურღვევია ცეცხლსა და მღვდლარეს ასნულეტილ თევზს და სწორედ ეს უხარია ვასილ ქორჭილაძესაც.

რას იზამ კაცი! პირობა პირობაა! სიტყვა ალაშქვებს ყოველ სულიერს და, მით უფრო, საქართველოს დიდ ტბასა და მდინარეში გაზრდილ-დავაჟიანებულ ოქროს თევზს. იმ დღიდან მოყოლებული, დალოცვილი ოქროს თევზი მებაღურ ვასილ ქორჭილაძის სამსახურშია ჩამდგარი პირნათლად და ნირშეუცვლელად. როგორც კი ვასილი თავის ცერა და საჩვენებელ თითებში ოქროს ფარფლს მზის გულზე ააფარფალებს, ფარფლის პატრონი თევზიც მაშინვე ცურვა-ცურვით მისიკილდება და მის ყოველ სურველს უჩვეულო მოთმინებით ისმევს.

სიცოცხლის შენარჩუნების ზუსტად ერთი კვირის თავზე ოქროს თევზი იხმო ვასილ ქორჭილაძემ და შესჩივლა: — ჩემო ძვირფასო მეგობარო, ბიჭები საკომისიო მალაზიების გახსნას მთხოვენ!.. შენ კარგად იცი, მე საამისო არც თანხები გამაჩნია და არც საშენი მასალები!.. თუ მართლა ოქროს თევზი ხარ, მიშველე, შენი ქირიძე!

მეორე დღეს ვასილის ხუთივე ვაჟი თითო-თითოდ ჩამწკრიდნენ საკომისიო მალაზიებში და თანაც საქონლის ისეთი ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტი ჰქონდათ, რომ გამვლელ-გამომვლელნი გაძიძინებულ ჯიბეებს ხორბლით სავსე ტომრებივით ცლიდნენ და ატრიალებდნენ!..

შემდეგ თურქეთის ნახვა მოესურვილა ვასილ ქორჭილაძის სამ ქალიშვილს და მებაღურმა ისევ მსაჯის ალაშქვით აღმართა ოქროს ფარფლს. ბუნებრივია, ოქროს თევზმა კვლავ გულდასმით მოისმინა თხოვნა და მესამე დღეს ვასილის ქალიშვილები ახალთახალი „ნივით“ გაგზავნა სანატრელ ქვეყანაში, თანაც, რომ არ გგონიათ, ქართული ზარგი-ზარხანა აქიდა? ნურას უკაცრავად! ამას როგორ იყარებდა საქართველოს ნაკრძალ ტბა-პალაზე უზომოდ შეყვარებული ოქროს თევზი?! — პირდაპირ დოლარებით გაზიზინებული ჩემოდნები დაურიგა სამივეს!

შემდეგ ვასილის მეუღლემ აიჩნა: — შენ რომ ამისთანა ყოველის-შემძლე მეგობარი გაყავს, ჩვენ ერთი სასახლე რაფერ უნდა გვენატრებოდეს?! და ვასილსაც გაეხსნა მადა, კუკუაში დაუჭდა მეუღლის ფრთხილად, შემპარავად, მაგრამ სიყვარულით ნათქვამი აზრი. მებაღურმა იხმო ოქროს თევზი, სთხოვა სასახლის აგება და მანაც იმ დღის მზის ჩასვლამდე შეუსრულა სურვილი — აუგო მრავალსართულიანი, ყველა საუკუნის არქიტექტურის მონაპოვრით დამშვენებული, ავ თვალს მოსაზრებელი ბროლის სასახლე, რომლის დარბაზ-სათაფსოებში იმპორტული და ანტიკვარტული ნივთები და დგამ-ავეჯი ჩაუწყვიტა!

ვასილ ქორჭილაძის სიხარულსა და სიამაყეს იოლად მოერღვა ზახლფრებ და მისი აშხაციც ურა კვიცივით გაიჩრთდა ზღვასა და ხმელეთზე!.. ზევით აგვიმატივით დაიტენა შურით, ბევრი ბედნიერების მოლოდინის ბაღში გაეხვია, ბევრი კი იმედის ნაბერწყლებით გაივსო!..

მებაღურის ქიშკართან მთხოვნელ-მსურველთა გრძელი რიგი დადგა!..

აქანელ აგრაფინა ჩხაივს, ხუთი ქალიშვილის დედას, მეექვსე ბიჭი მოესურვილა. სთხოვა ბატონ ვასილ ქორჭილაძეს, ვასილმა — თავის მეგობარ ოქროს თევზს და... ცხრა თვის თავზე აგრაფინას კალთაში კიდევ აქვლოპინდა ნანატრი ბიჭი!.. მერე იმავე აგრაფინას სხვა საზრუნავი გაუჩნდა: შაქარი, კარაქი, ბრინჯი, რძე და ხაჭო დასჭირდა ბავშვისათვის და შოვნა გაუძნელდა, მაგრამ ოქროს თევზი რის ოქროს თევზია, — აქაც თვალნათლივ აჩვეს თავისი სასწულ-მოკმელებმა!

აკეთელ შინაბერა ქალიშვილს, გულნარა ხუხუნაიშვილს, 46 წლის ასაკში გათხოვება მოუნდა! ბუნებრივია, მანაც ვასილ ქორჭილაძეს შესჩივლა და ამ კეთილმა მებაღურმაც, მეგობარი ოქროს თევზის დახმარებით, მშვენიერი ქმარი გამოუძენა — მალალი, შავგვრემანი, საქმიანი და „ვოლგიან“-ბინიანი ვაჟაკი!

ერთ დღეს ვასილ ქორჭილაძეს თავისი მკვიდრი ბიძაშვილი, ლეო ქორჭილაძე, ეწვია აღლვებული და თვალცრემლიანი!..

— მიშველე, ძამიკო! — ძლივს ამოთქვა თავისი სატიკიარო ლეომ, — მომხპეს, გამანადგურეს ამ პარტიულმა ფუნქციონერებმა, უმინშენლო შეცდომისათვის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გამრიცხეს!.. თვითონ ისინი რა სისაძაღლეს სჩადიან, არავენ იცის: პარტიოსან ხალხს აწიოკებენ, ქვეყანას თავზე გაეშობენ, მაგრამ გამკითხავი ვინ არის?! შენ ყოველის-შემძლე მეგობარი გაყავს, სთხოვე, შეეხვეწე, გააუქმოს ეს კომუნისტური პარტია.

ბატონი ვასილი თავის ბიძაშვილს უარს როგორ ეტყობა?! მოეფერა, დაამშვიდა და დახმარება აღუთქვა. იხმო მეგობარი ოქროს თევზი, მარცვალ-მარცვალ აყლაპა ბატონი ლეოს ნათქვამი და ოქროს თევზმაც, დიდ-დიდ თევზებთან ერთად, იხმო შავი ზღვის, ტბებისა და მდინარეების სისხლმოჭარბებული ლიფსიტები, ააბობოჭრა, ააბხედრა, ერთობლივად დარაზმა ისინი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და... როგორც ხედავთ, ალგავა პირისაგან მიწისა!

— ახლა მეტი რა გნებავთ, ჩემო ბიძაშვილო? — სიყვარულით ჰკითხა ლეოს მეგობარი ოქროს თევზის წარმატებით გაზრდილმა და წონაში მომატებულმა ვასილ ქორჭილაძემ.

— ახლა რა მინდა?! — ახლა მინდა, სხვა ახალი პარტია შექმნათ და მე მის სპიკერად დამნიშნოთ!


სხვა გამოსავალი რა ჰქონდა ვასილ ქორჭილაძეს?! — მოელაპარაკა მეგობარ ოქროს თევზს, მაშინვე შექმნეს ასზე მეტი პარტია და, როგორც მთხოვნელს სურდა, ერთი მათგანის სპიკერად სწორედ ლეო ქორჭილაძე დანიშნეს!

ჩვენდა საუბედროდ, კაცს თუ ბუმბულის შოვნა შეგიძლია, ყველა მაშინვე ბალოშა და ლეიბში გაურთავს. ვასილ ქორჭილაძესაც ლამით არ სძინავს და დღისით მოსვენება არა აქვს! — ზოგი ვზის მოასფალტებას ითხოვს, ზოგი — საცხოვრებელი ბინის ჩემონტს, ზოგი — ბენზინს, ზოგი — ავტომანქანას!..

ბატონი ვასილ ქორჭილაძე და მისი ერთგული მეგობარი ოქროს თევზი ყოველდღე ულაატოდ დგანან მშრომელთა სამსახურში, — ვისაც კი მათთან რაიმე თხოვნა ან სურვილი აქვს, ყველას ყველაფერს მოკლე ვადაში უსრულებენ!

და ამ დროს არავის მოსდის ფიქრად, რომ თვითონ ვასილსაც აქვს თავისი სათხოვარი ოქროს თევზისათვის. დიან, აქვს, მაგრამ ვერ იქნა და დღემდე საამისოდ ვერც დრო გამოიანა და ვერც საუბრის ტონი! კერძოდ, მებაღურს უნდა სთხოვოს მეგობარ თევზს, რომ გაერთიანოს საქართველო, მოაშროს შინაური თუ გარეშე მტრები, დაამშვიდოს, დააწყნაროს და სასიკეთო შრომის ფერხულში ჩააბას მრავალკინიანთული ქართველი ერის!..

უნდა და, თუკი თქმა მოახერხა, როგორ გგონიათ, ოქროს თევზი არ შეუსრულებს?!



სოციალისტური გუმბარაზი



კარგო ტამბისი

ჰსუცია

— მიშველეთ, პოლიტიკური თავშესაფარი მომეცით...
— გაგედი შენ?! ჩვენ ქართული პოლიცია ვართ!

რამდენი ვინმეა
ამ საქმით გართული:
როგორმე ჩამოკრახ
სპილენძის შავთული, —
რაც სულ არ ყოფილა
საშიში ან რთული..

გარშემო ოხერი
ზოგინობს რა ბევრი,
თურქეთში რომ უნდა
გაზიდას კაბელი, —
იცის, რით მოთაფლოს
მებაფე-დამხეგრის..

და როგორც არ უნდა
დაგვიცეს თავჯარი,
გამოვტყდეთ, რად ზღება
ამხები საჯარი:
ჩვენს უგუნურებას
არა აქვს საზღვარი..

თამაზ ებანოიძე

დამსიკონეში ქექვაჟ თავი რომ არ
მოგაბეროთ, ინებეთ შუა ფორშები და, რო-
გორც იტყვიან, ღმერთმა კეთილად მოვა-
ზმაროთ!
ბ, ბატონო, რუსულ-ქართული ნაწილი:

- АВИа — ავია, ავი! (მაგ., ძა-
ლი).
- АВрал — ა, ტყუილს ამბობდა
(ცრუობდა).
- АВтор — ავი ტორი.
- Агрономия — აგრონომი და მე.
- Алоэ — ალო, ე!
- Апатия — აპატია (მაგ., დანა-
შაული).
- Барограф — ბარო, ბარო, გრაფ!
- Безвинный беспечный — უღვინო.
- Близорукий — უღუმელო (გინა:
სალუმელე ქაჯი,
კინკა, ეშმაკი).
- Разводной — ახლოხელეზა.
- Разнобой — რაკი წყლიანია (გი-
ნა: რაკი წყლისა).
- Рай — სხვადასხვა ბრძლა.
- Рубикон — რაი?
- Сад — ჩეზე ცხენო!
- საღ?

- Самохвал — სა (დ) მოხვილო?
- Сенаты — თქვენ ხან შენ!
- Скороспелый — მალე მალე მალე!
- Столица — ასი საზე (გინა: პი-
რი, პიროვნება).
- Тенья — ტენით?
- Трон — ახლე! (მაგ., ხელი).
- Тяжелодумный — მძიმედუმიანი (მაგ.,
ცხვარი).
- Футурист — ფუ, ტურისტი!
- Хаала — ხეგლა (თუ ზეგა).
- Целибат — მთელი ბატი.
- Черепной — ნოეს თავის ქალა.
- Шайка — შიკა (რი)!
- Шемая — შე შიკა, შენა!
- Явор — მე ქურდი ვარ! ჯ



- ბარამ ქართულ-რუსულ ნაწილსაც
წამაწამება ცოტას:
- ოდა — О, да!
 - ონი — Онъ.
 - საში ტონა — Тригон.
 - ტაბაკი — Табак.
 - ხრაზი — Храм.
- ზივი ბოჯაუა




თემა ბ. მერსავეთელისა

— ვისია, კაცო, ეს ძაღლი, პატ-
რონი არა მყავს?
— ამხელა კოფეკს რომელი პატ-
რონი არჩენს ღღენს?!

ნახ. ჯ. ლოლუასი



ბესიკ გუბაშვილი



კვირვასო რედაქციაში

მე, ქიონია დარისპანის ასულს. პირველმა ქმარმა მიყიდა ერთოთახიანი ბინა თბილისში. მეორე ქმარმა — ოროთახიანი, მესამემ — ავეჯი, მეოთხემ — მანქანა, მეხუთემ ამასობაში პირველი ქმრიდან შეძენილი ვაჟი მომიწყო უმაღლესში; მეექვსე ქმარს საზღვარგარეთის საგზური ვაკეთებინე და ამერიკაში ვიმოგზავრე... ჯიბაიშის გავლით! მეშვიდე

უპკითხვა

„ნიანბს“

ქმარი პენსიონერია და ჩემს ვაჟს (პირველი ქმრიდან) მთელი ქონება უანდერძა. ვეძებ მერვე ქმარს, რათა მისი საბოლოო და ერთგული შეუღლე გავზღდე!

ვთხოვთ, მიპასუხოთ: ამდენი მოღვაწეობისთვის მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო პენსია და, თუ მეკუთვნის, რა რაოდენობით?

ჩაიწერა

მურვან მერაბილიშვილი



ნ. კ. ლოლუასი

თემა ზ. ინახარიძისა

— ვეძებ, ვეძებ და ისეთი სიძვე მოვძებნე, ვაგონდები: ციკვის დროს ხულ დასწვა პარკეტში..
— ახლა პარკეტი უნდა იქნებო, შე უბედურო!



მეწილე თვალნათელი ძმობი ნიანგა!
მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი ცხოვრება
პრაქტიკული პრობლემათაა აღსავსე, მინდა შენი
ყურადღება ერთ საკითხზე შევაჩერო:

არ გვინდოდა, შენი შეწყობა ასეთი მგზავ-
რობით, მაგრამ ვიცი, ჩვენს თხოვნას არ ულა-
ტებ ამ განსაცდელში და იტყვი, — „სადაც
ყველა, იქაც მეო!“

ახლა ჩავხსნით ხაშური-თბილისის მატარე-
ბელს, რომელიც წინათ რვა ვაგონისაგან შე-
დგებოდა და ძლიერ აკმაყოფილებდა მგზავრთა
მოთხოვნებებს, ახლა კი ექვსი ვაგონისაგან
შედგება და ადვილი გასაგება იქნება, თუ რა
მდგომარეობაში ვმგზავრობთ, მით უმეტეს, რო-
ცა ავტობუსები „კონკურენციას“ ვეღარ გვიწე-
ვენ დღევანდელ პირობებში!

გზად მოდის და, თუ რომელიმე ჩამორჩენი-
ლი, გრაფიტიდან ამოვარდნილი მატარებელი წა-
მოეწევა, ჩვენ იძულებული ვხდებით ამ დახუ-
თულ, დაბინძურებულ ვაგონებში ვისხდეთ
მშვიდად, დაველოდოთ, როდის გააშვებენ
წითელ შექნიშნს! როგორც იქნება, სამი-ოთხი
საათის დაგვიანების შემდეგ ჩამოაღწევ თბი-
ლისში და აქ ვხვდებით უარესი დაბრკოლება, ვი-
ღრე მანამდე გაქვს გადაღებული.

ზიხარ ისეც ამ დახუთულ ვაგონში და ელო-
დები, როდის მიგიღებს პატარა, მაგრამ მართალი
„დიდი“ სადგური „დიდებში“! თქ, ეს პრობ-
ლემები, პრობლემები, რომლებიც ჩვენში კი არ
კლებულობს, არამედ გაუთავებლად მრავლ-
დება!

ნუთუ, არ შეიძლება ამ უმსგავსებებს რომ
ზოლო მოვლდეს?!

იქნებ შენ მინც დაგვეხმარო, ძმობი ნიანგა!
მით უმეტეს, დღეს შენ ჩვენი თანამგზავრი ხარ!

თანავი თოგაძე

შველამ თავისი სახე აკეთოს!

დღეს რომ უძღვოდეს ელავ იხი,
ვალი უწოდებს ყველამ თავისა, —
არა შორს, — ყველანი: მანდვე თუ აქვე,
მარად, ყოველთვის ვაჩენდა საქმე!
აშურის საქმეებს წილხვედრს თავისსა
კაცმა — კაცისა, ქალმა — ქალისა,
მკურნალი უძღურს დახვედს წამლებით,
მწვრთნელს თან ხიმარვე ახლდეს სწავლებას,
მენადემ შიხენ შარდის ყველა ხე,
მეზურემ ვულ-ხელი დახლოს ვენახებს,
მგოსანმა მამულს კვლავ ხობდა ასხას,
მთამ არჩიები ხარჯობად დახსას,
ტოროლა ჯეჯილს უჭებდეს ხახხას,
მესაზღვრის მზერა იცავდეს საზღვარს!
ცვარო, მინდორ-ველს, ფერდობს ეპკურე,
ცხობა პურისა ვენდოს, შეპურე!
კახაბერადა ვცნოთ კახაბერი,
ბრძენს დავაშოროთ მოლაყაფენი,
ნდომა შევიცნოთ ხმაში მწაკვრისა,
თავს დავდოთ ფახი ტაშის დაკვრისას!
სხვაზე სხვამ რიოს აღრიალებას
თვინი არჩიოს აღიარება,
ზღუმე ოქროპირის შეძლოს დანახვა,
უნიკოს ნაჭის ნუ ზურს დამარბავა,
ყმაწვილოთ ფაში ხვდეთ გოგობიური,
მიჯნურნი იქოს, როგორც მიჯნურნი,
იწვნიონ ხანა ახალგაზრდული,
დალოცონ ჩვილი და ხანდაზმული..
ბედტი მოთაღე, სახნის-საყვეთო,
კარი დაიცავ, ხახლის საყეტო..
ყველამ თავისი საქმე აეთოს!
ყველამ თავისი საქმე აეთოს!

ვახა შიუკაშვილი
(ქ. გორი)



შველამ თავისი სახე აკეთოს!
№ 19-20. (1670) ოქტომ-
ბერი. გამოსცემს 1923 წლის
ივნისიდან.
ქართული
თეატრის
წამალი

სარედაქციო კოლეგია:
მურათ აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილი
ილია ლომიძე (მასწავლებელი
მლივანი), კახია იმედა-
ჯიანი, ნიკოლოზ ბარათაძე,
რევაზ თვარაძე, ვახუშტი
ლოლა (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ნიკოლოზ ნიკოლო-
ზი, რევაზ მიწველიძე,
ილია ლომიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ვახუშტი იმედაჯიანი, თამარ
წიქაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ვახუშტი იმედაჯიანი

გადაეცა ასაწყობად 18.09.
92. წ. ხელმოწერილია
დისკრეტად 24. 12.
92 წ. ქალაქის შიში
80x90%, ფიზიკური ნა-
ბეჭდი ფურცელი 3, საფ-
რისებრო-საგამო მცდელო
თამარ 3,6. საქართველოს
ფურნალ-გაზეთების გამო-
შვებლობა „სამშობლო“.
შეკვ. № 1655. ტირ. 27 000.
ფურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შე-
მოსული მასალები ავტო-
რებს არ უბრუნდებიან.

ჩვენი მისამართი: 580005.
თბილისი-8, აკუსოველის
პრისიპეტა № 42.

ტელეფონები: მთავარი რე-
დაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, მ/შ მლივანის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, ვინ-
ვოფილებათა გამგეობის —
93-43-32, რედაქტორ-ლექ-
ტორების — 99-02-38, ლა-
ვინ-მემანქანის — 99-74-69.

სატირიკო - კომორისტი.
ქართული ჟურნალი «ნი-
ანგი» (მა გრუპისიონთ
ლზინე). თბილისი, სრ.
რუსთაველი № 42.

შანი ა შანი.
1923 წლის იანვარი

000/14

Биб. з. 80683063

ОСТАНКИНСКИЕ „УТКИ“

04036940
18-00000000

